F 9-4/1887

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი

საყოველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელსა № 11 აპრილის 5.

გაზეთი დიოს: ერთის წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქ. კანტორაში. ფოთში ბესარ. კალანდაძესთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: Тифлисъ, въ редакцію газеты „ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება: თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ხიდის ყურთან: ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში. ქუთაისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შეასწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

სხვა-და-სხვა მაზრებიდგან გვთხოვენ გარდაცვალებული პოეტი იოსებ დავითაშვილის სურათს.

რადგანაც ამ სურათის მოპოვების მსურველნი ბევრნი არიან და სურათები კი ცოტა დარჩა, ამისათვის ვთხოვთ შეგვატყობინონ, არა უგვიანეს აპრილის ათისა, ვის რამდენი სურათი ჰსურს, რადგანაც ამ აღნიშნულ ვადაზე „თეატრის“ რედაქცია დაიბეჭდინებს იმდენს სურათს, რამდენის სურვილიც იქნება ზემოხსენებულ დრომდის გამოცხადებული.

ბიბლიოთეკა

„თეატრი“-ს რედაქციას აქვს წარსული წლების №№ და მათთან გამოსული სურათები: ორბელიანისა, მესხისა, ალექსანდრე ჭავჭავაძესი, ილია ჭავჭავაძესი, აკაკისა, შოთა რუსთაველისა, მოლიერისა, შექსპირისა, ოსტროვსკისა და სხვა; აგრეთვე იოსებ დავითაშვილისა და რაფ. ერისთავისა.

1885 წლის №№ თავის სურათებით ღირს.				3	მან.
1886 „	„	„	„	4	„
ორივე წლისა ერთად „	„	„		6	„
თითო სურათი, საუკეთესო ქაღალდზე					
დაბეჭდილი, ღირს „	„	„	„	30	კ.
ცოტა მდარე ქაღალდზე „	„	„	„	20	„

ვინც ისურვებს ფულის გამოგზავნას, მანეთზე ნაკლები შეუძლიან ფოსტის „მარკებით გამოგზავნოს.

როგორც წარსული წლების №№-ბის, აგრეთვე სურათების გამოსაწერად გთხოვთ პირ-და-პირ რედაქციას მოჰმართოთ, შემდეგი ადრესით:

Г. Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ТЕАТРЪ“.

ამავე ადრესით მიიღება გაზეთზე ხელის მოწერა ამ 1887 წ.

თბილისში მცხოვრებთათვის ადრესი: „თეატრი“-ს კანტორა. (ოქრომჭედლების ქუჩა, ბარისოვის სახლები, № 48).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალდგომა

—

ალსდგა ქრისტე, ძმაო ნიკო!
ჩვენთვის ჯვარ-ცმულ მაცხოვარი;
ჯოჯოხეთი ვინც რომ სთურგვნა—
სამოთხისა გვიღო კარი.

—

ქრისტე ალსდგა—ჯეშმარიტად;
გოლგოთაზე წამებული
სიმართლის ღალადებისთვის
ურწმუნოდგან ბრალდებული.

—

ბრმათა, კოჭლთა, დავრდომილთა
ერთის სიტყვით გამკურნელი;
მკვდრისა ხელის შეხებითა,
ან ბრძანებით ალმდგენელი.

—

მან არ იყო ხუთის პურით
სუთ ათასი კაცი ამღო?
მეორეჯერ შვიდი პური
შვიდ-ათასსა კაცსა აყო?—

—

მან არ იყო, რომ ლაზარე
სიტყვით ალადგინა მკვდარი?!
ძმას მართასი და მარიას
უკუუგდო ცივ სამარი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაინც ურწმუნოთა
ღმერთის გმობა ღმერთს შესწამეს,
არ მიიღეს ის მესსიად
და სასტიკად მათ აწამეს.

—

ამ გვარ ცხოვრებით—სიკვდილით
ერის ცოდვა კისრად იდვა,
და დასძლია მან სატანას,
დღეის დღესა ქრისტე აღსდგა.

—

დღეს ჩვენც გვმართებს სიხარული:
ხედავ ყველას უხარია?
ხე ფოთლებით შემოსილა,
ბალახებით მთა-ბარია!

—

ქრისტე აღსდგა, ძმაო ნიკო!
მო, მიკვლიე წითელ კვერცხი,
მხიარულად გარდამკოცნე,
სევდა მიქრე, ნუგეშ მეცი.

ი. სანაგელი.

წარსული საიდუმლო

I

ღამეა. საათმა ნელ-ნელა დაჰკრა ოთხი. სამინელი წვიმა და ქარიშხალი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, და ამასთანავე ცუდი ტარტანი უფრო სადგელს უმატებდა მშვენიერს ქალს, რომელიც დაუდებულიყო ავად-მყოფის ქვეშაგებზედ. მთელი ღამე ისე გაატარა, რომ თვალი არ დაუხუჭავს. ექიმმა იმედი გადიწყვიტა ამ ავადმყოფის მორჩენაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გერა, მე მიყვარდი შენ, ამოიღუღღუღა სულ-შაგუბებულმა ავად-მყოფმა, რომელსაც გამსმარ ლოყებზედ ჩუს-ჩუსით გადმოსდიოდა ცხარე ცრემლები.

— ნუ სტირი, ჩემო საყვარელო, მე ვზივარ შენ გვერდით და შველასა ვთხოვ მარტო ღმერთს, რომელიც არის ყველას მფარველი.

ბატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა და ისევ ქარიშხალის სტვენა გაისმოდა.

— გერა, ცუდად ვხდები, რის ვაი-ვაგლახით წარმოსთქვა ავად-მყოფმა, გულზე... შემო... მაწვა... მე ვკვდები... დამიღო... ცავს... კო...ლა... ამ სიტყვებით ავადმყოფმა საუკუნოდ დასუნჯა თვალები.

ღამის სიჩუმეს არღვევდა გულ-საკლავი ტირილი, რომელიც ესმოდა ლოგინში მწოლიარე ბატარა ბავშვს.

გავიდა ორი კვირა. გერას ცოტ-ცოტად შეუმსუბუქდა ბოლმა. ერთ დღეს, დილით ადრე, იმ სტოლზე, რომელზედაც წინად მიცვალებული ესვენა, ესლა იჯდა გერა და გაჩქარებული სწერდა წერილს თავის ნათლი-დედასთან, რომელიც სცხოვრებდა ერთი მდიდარი გრაფის მამულში. წერილის ბასუსი ჩქარა მიიღო, რომელშიაც ნათლი-დედა ჭვირდებოდა თავის შემწეობას—რითაც კი შეეძლო. ერთი-ღა აწუსებდა გერას—ბავშვს თან ვერ წაიყვანდა და ვერც თავს ანებებდა. ბევრი ფიქრის შემდეგ, იმან ჩააბარა თავის ძვირფასი შვილი ერთს დედაკაცს და თითონ კი მიჭქროლავდა ორთქლის მატარებლით სხვა ქვეყანაში. რამდენიც მაგონდებოდა რა სიშორეზედ იყო ის თავის უძვირფასეს შვილზე, იმდენი თვალებში ცრემლი მოერეოდა და გული ამოუჯდებოდა სოლმე.

II

გაიარა ცამეტმა წელმა... ამოდენა დროში შეიძლებოდა გერას გაექარწყლებინა დარდები, მაგრამ დიდი სიმწარის ბეჭედი არ გადადიოდა იმის სახიდამ. ის გასდა, ხანში შეკიდა, მარტო იმისმა ლურჯმა თვალებმა არ გამოიცვალეს გონიერი გამომეტყველობა. ესლა ის ქმრიანი იყო და ორი შვილიც ჰყავდა. ესლა ის სულ

სხვა იყო: ის იყო ტოლი გრათვისა, ძალიან ჭკვიანი და კეთილი კაცისა. ის სცხოვრებდა ძალიან მდიდრულად; ქმარს ძალიან უყვარდა.

გრათვმა შეატყო, რომ იმის ცოლს თავი მოაწყინა სოფელმა და მთელი თავის ოჯახით გაემგზავრა მოსკოვისკენ. ვაგონში ბავშვები თავის მამას ჰკითხავდნენ სხვა-და-სხვა საგნებზედ. გერა კი რამდენიც უახლოვდებოდა ქალაქს, იმდენი გული მაგრა უძგერდა და თვალებში სან-და-სან მოერეოდა ცრემლები. ეს შეამჩნია გრათვმა და ჰკითხა:

— რა მოგდის?

— არაფერი, მეც არ მესმის რისგან, მიუგო გერამ ძალდატანებული ღიმილით.

— ასე მგონია მოწყენილი სარ? უთხრა კიდე გრათვმა.

— არა... არა, შენ ყური უგდე... რალაცას გკითხავს ჰეტია.

გრათვმა უნებურათ მიიხედა შვილისკენ და დაუწყო მას ალერსი. ეი მოვიდნენ კიდეც მოსკოვის რკინის გზის სადგურზე. ეი დილიჟანმა გააქროლა ისინი ერთ უკეთეს სასტუმროსკენ.

III

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ მშვენიერ ქუჩაზედ დაიჭირეს კარგი სახლი. სასტუმრო მდიდრულად და გემოვნურად მორთეს.

— ერთი მოსამსახურე კიდევ უნდა დავიჭიროთ, თორემ ორი ცოტა არის, უთხრა გრათვმა ცოლს, მე „მეკარეს“ დავავალე და ის დამჰირდა.

— ჩემთვისაც საჭიროა ერთი კაცი—უთხრა ქალმა.

რამდენიმე დღის შემდეგ დაიჭირეს ახალგაზდა მოსამსახურე, რომელიც გრათვს ძალიან მოსწონდა. ამ მოსამსახურეს გრათვისა ძალიან დაკვირვებით შინჯავდა ხოლმე. ის იყო სულ ახალგაზდა; იმის რგვალი პირი, ცოტათი შეწითლებული ლოყები, მოლურჯო თვალები, ქერა თმა წარმოგვიდგენდა „ლაქიის“ ტიპს. გრათვისა რაც უფრო ბევრს უყურებდა, იმდენი უფრო რალაც ღრმა ფიქრს მიეცემოდა ხოლმე;თვითონაც ვერ აეხსნა რათ აგონებდა ამ ყმაწვილის შეხედვა მთელს თავის წარსულს ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ერთს ოკტომბრის საღამოზედ გრაფი კლუბში იყო. გერა იჯდა ქმრის „კაბინეთში“ და წიგნს კითხულობდა. რამდენიმე გვერდი რო წაიკითხა, მოკეცა წიგნი, წამოდგა, ერთი-ორი გაიარა, მიეიდა და დარეკა ზარი.

— ნიკოს დაუძახე, უთხრა შამოსულს ბიჭს.

— ბატონი ბძანდებით.

რამდენიმე წამის შემდეგ შემოვიდა ახალგაზდა „ლაქია,“ დადგა კარებში და მოწიწებით ელოდა ქალბატონის ბძანებას.

— ლამპას ამოსწი, ჩუმად უბძანა გერამ.

„ლაქია“ მიეიდა საწერ სტოლთან, ამოუწია ლამპას და უნდა გაბრუნებულიყო, მაგრამ ქალბატონმა შეაყენა.

— ახლო მოდი ნიკო; რამდენი წლისა ხარ?

— ხუთმეტისა, თქვენო ბრწყინვალებავ!

— სწავლობდი სადმე?

— საეკლესიო შკოლაში ვსწავლობდი სამი წელიწადი.

— მერე?

— მერე ერთი წელიწადი გავატარე სოფელში და როცა აქ ჩამოველ თქვენ ბრწყინვალებასთან დაგდექ მოჯამაგირეთ.

— განა შენ სოფელი ხარ? სრულებით არ გეტყობა...

— არა, მე დავიბადე მოსკოვში, ბებია სოფელში მყავს, ნამდვილი კი არა, ჩემი ძიძის დედა...

— განა შენ ობოლი ხარ?

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ, მე არა ვინ არა მყავს, მე არც დედა მახსოვს და არც მამა.

როცა „ლაქია“ ამას ლაპარაკობდა, გრაფინია უფრო და უფრო დაკვირვებით უყურებდა მას და რაღაც ახლო ნათესავივით ეჩვენებოდა.

— მაშ შენ სულ პატარა ყოფილხარ, როცა დედ-მამა დაგხოცია?

— როგორც მეუბნებიან მამა მამკვდარია, დედა კი გამქცევია; იმისთანა ცუდ მდგომარეობაში ვარ, თქვენო ბრწინვალებავ, რომ მერჩივნა არ დავბადებულიყავ, მაგრამ... ღმერთმა განსაჯოს ის, თავ-ჩაკიდული ლაპარაკობდა ნიკო.

გრაფინია ძლივს-ღა სუნთქავდა და ნერვების თრთოლა მოუკიდა.

— მაშ შენ არა გასსოვს რა?

— როგორ, თქვენო ბრწყინვალებავ?

— არა დაგრჩენია რა დედიშენის სასსოვრად?

— ერთი პატარა სატი მაქვს დედისგან დარჩომილი.

ამ სიტყვებზედ გრაფინია ფესზე წამოდგა.

— აბა სადა გაქვს?—ჰკითხა გრაფინიამ.

— ჩემ ოთახში მიკიდია.

— გაიქე, ამ წამს აქ მოიტა.

ნიკოს არა ესმოდა რა. რამდენიმე წამის შემდეგ შემოიტანა სატი და გარდასცა გრაფის ცოლს.

ამან ხელების კანკალით გამოართო დეთის-მშობლის სატი; ცოტა ხნის შემდეგ მივიდა ნიკოსთან, ხელი დაადო მხარზედ და უთხრა:

— შენ ამტეუნებ შენს დედას, ღმერთს იწყევ მსჯელად, მაგრამ რომ ნახო განა არ აპატიებ?

ნიკო გაქვავებულივით იდგა.

— ხმა ამოიღე, ეუბნებოდა ტკბილის ხმით გრაფის ცოლი

— სად არის! სად არის დედა ჩემი? ნელ-ნელა წარმოსთქვა ნიკომ. სად არის ჩემი საყვარელი მშობელი დედა?!.

— კოლა, ჩემო საყვარელო! აქა ვარ შენთან, დედა შენი... მა პატიე!.. მარტო ცხარე ცრემლები იყვნენ მოწმად იმათი სიხარულისა.

ჩქარა, ამის შემდეგ, გრაფი მობრუნდა: ის გაოცებული იყო, ამით, მაგრამ ვერამ ალარ დააგვიანა საიდუმლოს გამოაშკარავება. გრაფი მთელი ღამე ამაზედ ფიქრობდა და მეორეს დღეს კი გამოუცხადა ცოლს:

— ვერა, დიდხანს გაცდევინე, მაგრამ შენ თითონ იცი რა ძნელი კითხვა იყო ეგ ჩემთვინ. გადავწყვიტე...

გრაფინია შეკრთა და სულ სმენათ გადიქცა. ის მოელოდა საუბედურო ამბავს, მაგრამ რიდასიც იმედიც ჰქონდა.

გადავწყვიტე,—განაგრძო გრაფმა,—გიცხადებ, რომ წმიდა დედობრივი გრძნობა რჩება ყელ-უსლებელი, იმისათვის, რომ მე

ნ მიუკარსარ. მე შენ გხედავ ჩემი შვილების კეთილ-დედათ; იზ-ენე ეგრეთვე შენი შვილის ბედნიერებაზედ.

ვერა დაეცა მუხლებზე და უნდოდა ქმრისთვის ხელზედ ეკოცნა, მაგრამ მან საჩქაროდ წამოაყენა, მოჭხვია ხელები და... ჩაიკრა გულში.

—შ—ვი.

ლ ა ლ ა *)

წიგნი იკითხე ჰაწიავ
გირჩევ მშობელი ლალაო,
ეცადე სწავლით გაიცნო
ქვეყნის ხარჯი და ლალაო.

—

შენ ჩემო დამტირებელო
ჰატარა ალმასხანაო;
გიყვარდეს დედა მშობელი
და მისი ტკბილი ნანაო.

—

არ დამივიწყო მშობელი
ვიდრე ვარ ქვეყნის ჰირადო,
მოვკვდე და საფლავს მდებარეც
მინახულევი ხშირადო.

ი. ჯ.

რა არის ბენეფისი *).

ინტერმედია - დივერტისმენტი, მიბაძვა ლრ. სოლოგუბისა

ფარდა რომ აიხდება, მთელი ტრუპპა სცენაზეა: ერთ მხრივ ქალები, მეორე მხრივ კაცები. შუაში აბაშიძე სდგას.

ა ბ ა შ ი ძ ე. მოწყალენო ხელმწიფენო!.. მაგრამ არა... „მოწყალეო ხელმწიფეო“, მოდაში ალარ არის—„დროებამ“ „ბატონობა“ გაახლაა. მაშასადამე, „ბატონებო“ და თქვენ დაუდგრომელნო ქალბატონებო!.. ბთხოვთ მიიღოთ, ჩემი ულრმესი გულითადი მადლობა ამალამდელ შრომისათვის! ბმადლობთ, რომ შეეწივენით თქვენ ულირსს და საცოდავს ამხანაგს, და მიიღეთ მის ბენეფისში მონაწილეობა. ძალიან კეთილი საქმე ჰქენით ამიტომ, რომ ბენეფისი... მაგრამ, ბატონებო, იცით რა არის ბენეფისი?.. თქვენ, რასაკურველია იცით, ძალიან კარგათაც იცით... მგონი რომ ამათ... (პუბლიკაზედ უჩვენებს) კარგათ არ იციან; და ამ საგანზედ, მგონია, არცკი დაფიქრებულან.—ბენეფისი, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, აკტორისათვის ის არის, რაც თქვენთვის კარგი მოსავალი სოფელში, კარგი რთველი, კარგი ლოლი, კარგი მეოთხედი და ზოგიერთებისათვის კარგი მოგება ვაჭრობაში! აკტიორის ჯამაგირი-ლუკმა პურში, ერთ ბნელ ოთახში, შეშაში, ნახშირში, ხორცში და სანთელში მიდის... ესე იგი, რაც კი კაცს ეჭირვება საცხოვრებლად; თორემ უამისოთ, თქვენი მტერი ჩვენ საქმე მოგვივიდოდა... სიმღერის მაგივრათ ამ სცენაზედ მგლისავით ზმუილს დავიწყებდით!.. მაგრამ, წრეულს ამ დიდმარხვაში კინალამ ეს საქმეც დაგვემართა... კიდე ღმერთმა უშველოს, ჩვენ დრამატიულ-საზოგადოებას... ოჰ! ეს საზოგადოება რომ არ ყოფილიყო... თქვე-

---

*) დაწერილია თ. დ. ერისთავისაგან არტისტი გ. აბშიძის ბენეფისისათვის 1881 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი მტერი ერთმანეთს დავჭამდით! აქამდისინ თუმცა ამბობდნენ, რომ აკტორები ერთმანეთსა სჭამენო, მაგრამ ამ აზრს ფიგურალური მნაშვნელობა ჰქონდა, და კინაღამ რეალური მნიშვნელობა მიეცა... ამბობდნენ კიდეცა, რომ რამდენიმე აკტორმაო, ბულვარზედ, მშიერ მგლებივით, კინაღამ ერთი მოხუცებული კაცი დაგლიჯესო!.. მახლას: ეხლა ისეთი დროა, რომ ყველა დაიჯერება... ჰო! იმას მოგახსენებდით, ჯამაგირი სულ დღიურ ცხოვრებას უნდება... მაგრამ ჩვენც ადამიანები გახლავართ, ჩვენც სული გვიდგას, ჩვენც გვინდა პატარა სიამოვნება! ჭეიფის გაწევა, მუშტაიდში სეირნობა, შენინგთან მსხლის წყალის დალევა, ხან და ხან მაზედ ქახურის დამატება—ეს სულ ერთის სიტყვით გამოიხატება... ბე-ნე-ფ-ი-ს-ში! ბენეფისში გამოიხატება ყოველი ჩვენი სურვილი, კარგი ფრაკი გულავერდიანცთან, კარგი ჩერკესკა თათუხას შეკერილი, ცოლისთვის კაბა, მანტილია, შვილისთვის არახჩინი... მაგრამ ეს კი ჩემს მეტს არავის შეეხება. ჩემს მეტი არავინ გაბრიყვებულა აკტორებში და ცოლი არ შეურთამს... მახლას!.. (ამოიოხრამს) რაც მოხდა, მოხდა... ერთი სიტყვით ყველა ბენეფისზეა დამოკიდებული! მაშასადამე აკტიორი მთელი წელიწადი იმასა ჰფიქრობს, თუ კარგი ბენეფისი გამართოს და პუბლიკა დააკმაყოფილოს. აბა, გაჭირება მაშინ არის, ბატონებო! ხომ კარგათ მოგეხსენებათ რა მდგომარეობაშიაც არის ჩვენი დრამატიული ლიტერატურა! პირველი ესა, რომ არა არის რა სათამაშო, და მეორე ესა, რომ არავინ არის მოთამაშე! მოდი და ამოირჩიე ჩვენ რეპერტუარში ხეირიანი პიესა!.. გადაჰქექ-გადმოჰქექ და ვერას იპოვნი... ან ისეთი უაზრო პიესებია, რომ მათი ყურება კაცს შეაწუხებს, ან ისეთი ძველია, რომ ყველამ ზეპირათ იცის! მართალია შეიძლება კარგი პიესების ამორჩევა უცხო რეპერტუარში, მაგალითად: შეკსპირის, მოლიერის, შილლერის და სხვა ღენიოსების თხზულება... მაგრამ თქვენვე გკითხავთ, ვინ ითამაშებს ამ პიესებს? ერთი „მეფე ლირი“ გვაქს გადმოთარგმნილა, მისი მთარგმელი მგონია, რვა წელიწადია ემზადება მის წარმოდგენას, მაგრამ როგორლაც ვერა ხერხდება... ჩვენ ყვე-

ლანი ვოდევილების აკტორები გახლავართ!.. კომიკები! მაგალითად, მე კომიკი გახლავართ... ჩემი ამხანაგებიც კომიკები გახლავან! ისე, ფაცაფუცითა ვთამაშობთ (უჩვენებს სუფლიორზედ) ამ ბატონის წყალობით. შარშან არ იყო, რალაც ეშმაკად „ყომარბაზის ცხოვრება“ წარმოვადგინეთ... ისეთი დრამმა გამოვიდა, რომ კინალამ ფერდების ანთება მოუვიდათ მაყურებლებს... სიცილისაგან! ერთის სიტყვით სათამაშო არა არის რა, მოთამაშენნი არ არიან!. ქეთილი, მაგრამ ცხოვრება რომ გვინდა??. ჩვენც კარგათ ვიცით „საზიზღარ მეტალის“ ფასი... ჰფიქრობს, ჰფიქრობს ბენეფიციანტი... და მიჰმართამს ჩვენს მწერლებს... მიხვალ რაფიელ ერისთავთან, დაელრიჯები, ერთი პიესა დამიწერეო ან გადამიკეთეო!. მაგრამ დალოცვილს, როგორც პოეტს, თუ გული არ მიუდის, ხელს არ ახლებს პიესას. ათასი პიესა რომ მიუტანო, ერთი არ მოეწონება... ჩვენ ცხოვრებას არ მოუხდებაო. მერე გინა მიხვიდე ივანე მაჩაბელთან... მაგრამ ბატონი მაჩაბელი, როგოც ჩვენი პატივცემული ადმინისტრატორი ადამ ჩუბინოვი ამბობს, აკტორების „ბუნტის“ შემდეგ, როგორლაც გულ გრილად გვიყურებს; მიხვალ დავით ერისთავთან პიესას რომ გაუხსენებ, მაშინვე გაშლის ხელებს და დაიყვირებს—რა დროს პიესებია, ვერა ხედამ ამ ტელეგრამებმა ლამის დამადნოსო, რა თქვენი მცხელაო... აკაკი წერეთელთან რალა პირით მიხვალ! ბოლოს აიღებ ქუდსა და გასწევ ანჩხატის უბნელთან. მიხვალ დაუკაკუნებ ძველებურად ალაყაფის კარებს... ახვალ ბალკონზედ... შესჩივლებ შენ მდგომიარობას... ერთი მიშველე რამეო, ბატონ პეტრეო!.. „რაო?? პიესა დაგიწეროო??.. ჯერ ერთი მითხარი ჯამაგირი რა გაქსო?.. ეტყვი თვეში ექვსი თუმანი მაქვსო... „ახლა მაგდენ ჯამაგირს რომ იღებ, ცოტას ვერ გადასდებო, რომ წიგნი დაბეჭდო რამეო??.. ფიე! იტყვი გუნებაში: რას ამბობს ეს კაცი, რა დროს წიგნის ბეჭვდაა!.. არა, ბატონო პეტრე, მაგ ლაპარაკს თავი დავანებოთ... ერთი თუ შეიძლება ჩემ ბენეფისისათვის პიესა დამიწერეთ...—„პიესაო?... შარშან არ იყო დაგიწერეთ, მაგრამ რა გამოვიდაო? არაფერი!.. თქვენ, შვი-

ლებო, უკაცრავა მოხსენებაა, მალჩიშკები ბძანდებითო: ორი სიტყვა ვერ დაგისწავლებიათ ზეპირათაო... შენ არ იყავი, რომ ჩემ პიესაში „შუქის“ მაგიერ „ბუქს“ ამბობდიო?.. განა ღირსნი ხართო, რომ თქვენთვის კაცმა იშრომოსო?.. აი, თქხუთმეტი წელიწადია, თავში ერთი პიესის პლანი მაქვსო... ის დრო უნდა წარმოვადგინოო, როდესაც ქვეყანა ჯერ არ დაარსებულიყოო! მერე ვინ ითამაშებსო? თქვენ, შვილო, პამპულაობის მეტი არა იცით რაო!.. გინდაო განა რომ მეორეთ „ფალანგაში“ დამხატონო?.. გირჩევ ბენეფისის მაგიერ „აჩსენას“ ლექსი გამოსცეო!.. წამოხვალ აქედგანაც ხელ ცარიელი.-მერე იფიქრებ, იფიქრებ, და გადაწყვეტ შენვე რაიმე პიესის გადმოთარგმნას.-ვთქვათ პიესა ვიშოვნეთ; ახლა აფიშის შედგენაა ჭირი! ყველას უნდა ასიამოვნო: პარტერს უყვარს სასაცილო რამ, მახვილ გონიერი, გადაკვრით ლაპარაკი, კალამბურებით... ლოჟებში ქალები სხედან, ამათ მოსწონთ ნარნარი სიყვარულის გამოცხადება, და პლატონიური გრძნობა... ზევითა მხარეს, ხომ უკინტოოთ არა მოსწონს რა—უთუოთ უნდა ოჩრთაჭალის ბაღებში ქეიფი წარმოუდგინოთ!.. ხანში შესულ კაცებს ინტრიგა მოსწონთ; ახალ გაზდებს ლეკურის თამაშობა, რადგანაც ლამაზ ფეხებს რომ დაინახვენ თავში გაუჯდებათ ხოლმე!.. მოდი და ესენი ყველა ერთად დააკმაყოფილე! ბოლოს როგორც იქნება შეადგენ აფიშას... მოახლოვდება ბენეფისის დღე. ჩასდებ კანვერტში ბილეთებს, დაუჭერ ადამ ჩუბინოვს ფაეტონს (მაგრამ უფრო ხშირათ ფეხით დადის ხოლმე ჩვენი ადამა) და გაგზავნი ბილეთების დასარიგებლად. ვნახოთ რომ დაბრუნდება!.. ერთ აყალ-მაყალ დაიწყებს, ეს რა მიყავითო, თქვენი გულისათვის რამდენჯერ გამლანძღესო!.. „რის ბილეთები, რა ბილეთებიო?.. საიდამაც მოგიტანია ისევ იქ წაიღეო; ბევრმა მითხრაო: თუ წასვლა გვინდაო, ჩვენვე გამოვგზავნით ბილეთების ასაღებათაო... ეჰ გათენდა ბენეფისის დღეც! მაგრამ, ისეთი დღე თქვენ მტერს გასთენებია!.. მოღრუბლული და წვიმიანი!.. აბა ამისთანა ტალახში ვინ გამოვა კარზედ?.. თუმცა ქალაქის სამმართველომ ახალი მაში-

ნა მოიტანა პარიჟიდგან ქუჩების გასაწმენდი, მაგრამ ი დალოცვილი უფრო ატალახებს!.. დაილუპა კაკალი კაცი, როგორც იმერლები ამბობენ! ჩაგეშალა მთელი წლის იმედი!.. რილას გულავერდიანცის ფრაკი, რის მუშტაიდი, რის ქახურ—წავიდა ეს სუყველაფერი, განჰქრა, ვით სიზმარი! მოდი და ცარიელი სკამები გააცინე, როდესაც ჯიბეში თაგვები გითამაშებენ!-. მერე ყველა ამას დაატანე, ჩვენი კულისების უსიამოვნება, ჭორიკანაობა, შური... მაგრამ, ეჰ ისა სჯობიან, როგორც რუსები ამბობენ, ნაგავი ისევ შინ დარჩეს!.. მე ყველა ამას, საზოგადოთ მოგახსენებთ! თვითონ მე, როგორც ხედამთ, ვერ ვიჩივლებ თქვენ უყურადღებობაზედ.—მე ულირსად დამაჯილდოეთ თქვენის მობძანებით. მაგრამ კმაყოფილი დარჩით თუ არა—არ ვიცი!...

ნ ა ო ბ ე ვ ი.

გლეხი და ვექილი. გლეხი მოვიდა „ადვოკატთან", თავის საქმე აუხსნა და ჰკითხა:

— შეიძლება ამ საქმის მოგება, თუ არა?

— ძნელი კია, მაგრამ მე იმედი მაქვს რომ მოვიგებო.

გლეხი გაურიგდა, გასამრჯელო ფული მისცა, და უთხრა: ვიცი რომ ჩემი საქმე ძნელი მოსაგებია, მაგრამ გთხოვთ_თქვენი ხელობის შესაფერად მოიქცეთ?

— კარგი, მაშ ვერც შენს წამსდარ საქმეს ვუშველი და ვერც ამ ფულს დაგიბრუნებ-მშვიდად მიუგო ვექილმა.

* * *

სასტუმროში ორი კაცი ზის, ერთს მათგანს გაზეთი უჭირავს ხელში:

— შეხე, შეხე, ი ტიელ ამერიკაში თურმე რა სისწრაფეთ დაიარებიან მატარებლები: თურმე საათში 60 ვერსს გარბიან.

— ეგ რა გაგკვირვებია! ჩვენში უფრო სწრაფად არ დაფრინავს—ფეხს შესდგამ თუ არა, თვალის დასამსამებასაც ვერ მოასწრებ, რომ საიქიოს ამოგაყოფინებს თავსა.

* * *

საქაგელი ჩვეულება. ერთი ბატონი, ჩვეულებისამებრ მივიდა აღდგომა დღეს მეორესთან მისალოცად და აჩქარებით დაუწყო ზარს რეკვა.

— გასილი ივანიჩი შინ არ არის?

— შინ გასლავსთ, მობრძანდით.

— ჰო, შინ არის, მაგრამ იქნება სტუმრებს არ იღებს?

— როგორ არა, მობრძანდით!..

— ფუ, დასწყევლოს...

— რა ბძანეთ?

— არაფერი, „ძლიერ სასიამოვნოა მეთქი!“

კერძო განცხადებანი.

პატივი მაქვს ვაუწყო ტფილისის საზოგადოებას, რომ აღდგომის მეორე დღიდამ ლუდის სასმელს, როტონდაში „ტრამვაი“, რომელიც ეკუთვნის აზნაურს ნ. პ. ლორთქიფანიძეს, დიიწყობა საზაფხულო სეზონი საერო გართობისა და დროს გატარებისა. როტონდაში ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ სალამოს 11 საათამდე სრული ხორო (38 კაცი) სამხედრო მუსიკისა კაპელმეისტერის ბ-ნ ვლავაჩის ლოტბარობით გაჰმართავს კონცერტებს და დაუკრავს აწინდელს საუკეთესო პიესებს.

როტონდაში უფასოდ არის შესვლა

როგორც როტონდა, ისე ბაქანი ერთი-ორად არის ეხლა გადიდებული. აქ განსაკუთრებულ კონცერტების და საერო სეირნობის დროს გამართული იქნება ცალკე ადგილები ბოლოდ განათლებულის საზოგადოებისათვის მცირე ფასად. ლუდის საწყობი ათჯერ მეტად არის გადიდებული, ვიდრე შარშან იყო და ამ ჟამად ზაფხულისათვის დამზადებულია დიდ-ძალი ლუდი მშვენიერის თვისებისა, როგორც ბავარი-

ისა," ისეც შავი ლუდი. ვინც ლუდის შეტყობა იცის და მოყვარულია ამ სასმელისა, ვსთხოვთ მობრძანდეს, უფასოდ მირთვას და გასინჯოს ჭაშნიკი. ალდგომის მესამე კვირიდგან ოთხშაბათობით გაიმართება ხოლმე განსაკუთრებული გასართობი და შესაქცევარი ჯამბაზებითა, შუშხუნებით, ჰაეროსტატებით და სხვა-და-სხვა გვარის სალხინო სანახავებითა. ყველა ეს გაიმართება ცალკე პროგრამითა და გამოცხადდება თავ-თავის დროზე, როგორც აფიშებში, ისე ყველა აქაურს გაზეთებში. როტონდაში ყოველთვის არის ცივი საჭმელები და დასანაყრებელი სანოვაგე, აგრეთვე გასაგრილებელნი შუშხუნა წყლები, ხმელი ხილი, ტკბილი შაქრის პურები და პაპიროსები.

როტონდის გამგებელი
ი. ბაქრაძე

Принимается подписка на 1886-1887 г.

(ИЗДАНІЯ ГОДЪ ТРЕТІЙ)

ЕДИНСТВЕННАЯ-ЕЖЕДНЕВНАЯ

ТЕАТРАЛЬНАЯ ГАЗЕТА

4 ВЪ ГОДЪ РУБ. „ТЕАТРЪ и ЖИЗНЬ" 3 ПОЛГОДА РУБ.

Въ газетѣ помѣщаются всѣ свѣдѣнія о всѣхъ театрахъ: столичныхъ, провинціальныхъ и заграничныхъ.

Москва. Большая Дмитровка, домъ Солодовникова.

Редакторъ-Издатель Ѳ. Д. ГРИДНИНЪ.

(3—1)

რედაქტორ-გამომცემელი ა. ნებიერიძე

Дозв. Ценз. Тифл. 2-го Марта. გრ. ჩარკვიანის სტამბა.